პროექტის ფაქტები

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა, III ფაზა

განხორციელების ვადა: 04.12.2017 - 16.05.2022

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 44 500 000

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

პროექტის ვებსაიტები:

პროექტის აღწერა:

ეკონომიკური შესაძლებლობების კუთხით საქარველოში საკმაოდ დიდი განსხვავებაა ქალაქებსა და სოფლად მაცხოვრებელ მოსახლეობას შორის. სოფლად სიღარიბე საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით მოშორებულ ადგილებში, ვინაიდან სოფლის მეურნეობა არცთუ ისე განვითარებულია და არ არსებობს მდგრადი ეკონომიკური ალტერნატივა. ამას კი, თავის მხრივ, ზეგავლენა აქვს ადამიანების შესაძლებლობებზე გაუმკლავდნენ სტრესს და შოკს.

ENPARD ყველაზე დიდი პროგრამაა, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელებას ემსახურება. საქართველოში სოფლის განვითარების პოლიტიკის ჩარჩოს მიღება ხელს უწყობს სოფლის მეურნეობისთვის არსებული მხარდაჭერის ინტეგრირებას სხვა ზომებთან ერთად, რომელიც მიმართულია სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობებისა და გარემოს შექმნისათვის, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს სიღარიბის დაძლევა. პროგრამა მხარს უჭერს მთავრობას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც უშუალოდ ადგილობრივ მოსახლეობასთან მუშაობენ.

მოსალოდნელი შედეგები:

- სოფლის ეკონომიკის უკეთესი დივერსიფიკაცია, დასაქმება და სერვისები
- სოფლის მეურნეობის გაზრდილი კონკურენტუნარიანობა
- გაუმჯობესებული გარემო, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა
- სოფლის მოსახლეობის გაუმჯობესებული დასაქმება და საცხოვრებელი პირობები, ფერმერთა უნარებისა და რესურსებისადმი წვდომის გაუმჯობესებით
- სამთავრობო ინსტიტუციების გაზრდილი შესაძლებლობები და მხარდაჭერა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორის რეფორმების განხორციელების მიზნით
- სოფლად სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაცია, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდებისთვის, ასევე, გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის კუთხით.